№ 251 ფოსტიერების ფოსტაზე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. — პარასკევი, ნოემბრის 5 1920 წ.

წოვერობის მიხაზზე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა ამით აუწყებს თავის მოკავშირეებს,

რომ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს დღით ოთხშაბათს დილის 10 საათზე ქალ. ტფილისში

დანიშნულია საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა 1-ლი წლიური კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოოპერაცია.
2) რწმუნებულთა კრებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
3) კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4) მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
5) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6) კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
7) კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.
8) მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
9) სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
10) კავშირის წესდების გადაშინჯვა.
11) საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობის მოხსენება.
12) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
13) მიმდინარე საკითხები.

თანახმათ კავშირის წესდების მე-3, 9, 10 და 11 §§-ისა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებათ ითვლებიან:

გომის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯეკავოს, ნატანების, სამტრედიის, ზუგდიდ-სამურზაყანოს, ზესტაფონის, ჭიათურა-საჩხერის, გორის, სენაკის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორონცოვის, ქუთაისის, ტფილისის, სოხუმის და კახეთის რაიონების კოოპერატივთა კავშირები, სომხეთის კოოპერატივთა კავშირი „აიკოპი“, მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი, ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“, ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება, ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თანახმად კავშირის წესდების მე 29 და 30 §§-ისა ზემოჩამოთვლილი კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ:

გომის კავშირი—8 რწ., ჩოხატაურის—5 რწ., ოზურგეთის—3 რწ., ლანჩხუთის—3 რწ., საჯეკავოს—2 რწ., ნატანების—2 რწ., სამტრედიის—5 რწ., ზუგდიდ სამურზაყანოს—8 რწ., ზესტაფონის—8 რწ., ჭიათურა-საჩხერის—5 რწ., გორის—5 რწ., სენაკის—5 რწ., აბაშის—3 რწ., დუშეთის—3 რწ., სიღნაღის—10 რწ., ლორის—5 რწ., ვორონცოვის—1 რწ., ქუთაისის—10 რწ., ტფილისის—10 რწ., სოხუმის—3 რწ., კახეთის—8 რწ., მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლოს კავშირი—1 რწ., ფოთის მომხ. საზოგადოება „ეკონომია“—1 რწ., ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება—2 რწ., ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა ამხანაგობა—1 რწმუნებულს.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 §-ისა რწმუნებულთა კრება შესდგება კავშირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურათ ამორჩეულ პირებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ კავშირის წესდების §§ 9, 10, 11, 29 და 30 აღნუსხული მოთხოვნილებანი, მოახდინონ სპეციალური რწმუნებულთა კრებები წარმომადგენლების ასარჩევათ და არჩეულთა სია სათანადო ბლანკზე ბეჭდის დასმით დამტკიცებული დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ ცენტრალურ კავშირში.

დაწვრილებით ცნობებს ყრილობის ადგილის, რწმუნებულთათვის ბინის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მთავარ კანტორაში (მუშტაიდი, კოოპერაციის ქუჩა, საკუთარი სახლი № 15).

981 3—2 **საქართველოს ცენტრ. კოოპერატიული კავშირის გამგეობა.**

მეორე ქართული კლუბი

პარასკევს, 5 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება

ფრიად საჭირო კითხვების განსახილველათ. წევრთა დასწრება აუცილებელია.

983 2—2

საჯარო ვაჭრობა

რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი ამით აცხადებს, რომ შაბათს ექვს ნოემბერს დილის 12 საათზე

ტფილისის სამხედრო აღრიცხვის შენოგაში

საღვარის ქუჩა, №№24, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. გასასყიდია 50—60 ფუთი სახვევი ქაღალდი.

3521 3—3

სახელმწ. თეატრი.

პარასკევს 5 ნოემბერს

ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა

შაბათს, 6 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის

ევგენი ონეგინი

7 ნოემბერს

მინიონი

972 1—1 დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

შაბათს, ნოემბრის 6-ს

ოტელო

შექსპირისა.

ახალი დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარის ალ. ზალცმანისა.

რეჟისორი აკაკი ფალავა. **დასაწყისი საღ. 7 საათზე.**

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის
971 და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის. 3—2

სახელმწიფო გამოცდების კომისია

სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე კურს დამთავრებულთათვის სწავლა-განათლების სამინისტროს მიერ უკვე დანიშნულია და შეუდგება გამოცდებს მიმდინარე 1920 წლის 1 დეკემბრიდან.

გამოცდების დაჭერის მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელს წარუდგინონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის კურსის შესრულებისა, გამოცდების ჩაბარებისა, წლოვანებისა და ორას ორმოცდა ათი მანეთი (250 მ). 979 3—2

კავკასიის ბანკის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ დაიკარგა, გაცემული მის მიერ 1917 წ. სექტემბრის 5-ს ნესანახი ბილეთი № 49162 1160 მანეთის თეოფანე სიმონის ძე კახიანის სახელზე.

თუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, არ იქნება წარმოდგენილი ბანკში აღნიშნული ბილეთი, მაშინ არ ჩაითვლება გაუქმებულად.

978 3—3

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

28 ოქტომბერი, 1920 წ., № 317.

დათხოვნილ იქმნას: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის მესაკუნძავის თანაშემწე გიორგი დავითის ძე მჭედლიშვილი ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 318.

დათხოვნილ იქმნას: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კონტროლიორი ნიკოლოზ ბიქტორის ძე ელენტი ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 319.

დათხოვნილ იქმნას: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი კონტროლიორი პლატონ ლავრენტის ძე დევიძე ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 320.

გადაყვანილ იქმნას: სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი კონტროლიორი შალვა გრიგოლის ძე ჟუმბურიძე ძირითად შტატში ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 321.

დათხოვნილ იქმნას: სამსახურიდან შტატის შემცირების გამო, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი ბონების მთვლელი სოფიო ირაკლი ბახჩალოვის ასული ამა 1920 წლ. 10 ნოემბრიდან.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო ნაწილის უფროსისა.

21 აგვისტო, 1920 წ., № 236.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, თანახმად თავისი თხოვნისა სოხუმის ხაზინის რეგისტრატორი ალექსანდრე ლომთაძე ამა წლის ივლისის 27-დან.

№ 238.

გადაყვანილ იქმნას: ზესტაფონის ხაზინის პირველი ხარისხის ბუხჰალტერი ალექსანდრე ონისიმეს ძე ჟანდიევი ბათომის ხაზინაში იმავე თანამდებობაზე ამა წლის აგვისტოს 21-დან.

№ 239ა.

დანიშნულ იქმნას: შორაპნის ხაზინაში მოანგარიშე მოხელეს თანამდებობაზე გრიგოლ ტრიფონის ძე ცქიტიშვილი ამა წლის აგვისტოს 26-დან.

№ 239ბ.

დანიშნულ იქმნას: ქუთაისის ხაზინის რეგისტრატორი ივანე რაჟდენის ძე ჭირაქაძე ტფილისის ხაზინაში მეორე ხარისხის ბუხჰალტერის თანამდებობაზე ამა წლის აგვისტოს 21-დან.

№ 240.

მიღებულ იქმნას: სენაკის ხაზინაში როგორც დროებით დაქირავებული რეგისტრატორის თანამდებობაზე მოქალაქე იოსებ გიორგის ძე ვაშაკიძე ამა წლის აგვისტოს 1-დან.

№ 243.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა ბათომის ხაზინის მოანგარიშე მოხელე ალექსანდრე გიორგის ძე დეისაძე ამა წლის აგვისტოს პირველიდან.

27 აგვისტო, 1920 წ., № 244.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა სენაკის ხაზინის რეგისტრატორი ვლადიმერ ივლიანეს ძე გაბისონია ამა წლის ენკენისთვის პირველიდან.

№ 245.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინაში პირველი ხარისხის ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ვლადიმერ ფაუსტის ძე ანდრუშკევიჩი ამა წლის აგვისტოს 24 დან.

№ 246.

დანიშნულ იქმნას: ტფილისის ხაზინის მეორე ხარისხის ბუხჰალტერი ივანე იოსების ძე ზუიკოვი იმავე ხაზინაში პირველ ხარისხის ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 16-დან.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსი: **დ. ქუთათელაძე.**

—

იუსტიციის მინისტრისა.

29 ოქტომბერი, 1920 წ., № 386.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. ოქტომბრის 21-ს დადგენილების ძალით დაინიშნა ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ტფილისის მე 2 განსაკუთრებული უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი დიმიტრი ესტატეს ძე ღამბაშიძე ა. წ. ოქტომბრის 21-დან.

2 ნოემბერი, 1920 წ., № 387.

დაინიშნა: ქ. ტფილისის მე-3 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელად ქ. ტფილისის მე.12 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი პეტრე ივანეს ძე ფოთოლაშვილი ა. წ. ნოემბრის 2-დან.

№ 388.

დაინიშნოს: ტფილისის მაზრის 1-უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკოლოზ გიორგის ძე ქუჩუკაშვილი ქ. ტფილისის მე-12 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. ნოემბრის 2-დან.

№ 389.

დაინიშნოს: ტფილისის მაზრის 1 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად საპყრობილეთა ინსპექტორის უფროსი თაბაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე ღვინიაშვილი ა. წ. ნოემბრის 2-დან.

№ 390.

გადაყვანილ იქმნას: ერთი მეორის ადგილზე ოაჭის მაზრის მე-11 უბნის გამომძიებლის თ. ა. იოილ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე და ბორჩალოს უბნის გამომძიებლის თ. ა. გერასიმე სტეფანეს ძე ხაჟომია ა. წ. ნოემბრის 3-დან.

№ 391.

დაინიშნოს ქუთაისის მე-11 უბნის გამომძიებლის თ. ა. ქსენოფონტე იოსების ძე ხარაიძე ლეჩხუმის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ა. წ. ნოემბრის 3 დან.

№ 392.

დაინიშნოს: ქუთაისის მე-11 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამეგრელოს უბნის გამომძიებლის თ. ა. ნიკოლოზ ირაკლის ძე თოფურიძე ა. წ. ნოემბრის 3 დან.

№ 393.

გადაყენებულ იქმნა: თანამდებობიდან პასუხის გებაში მაცდის გამო, ტფილისის № 1 საპყრობილის უფროსის დროებით თანამდებობის აღმასრულებელი ბელიტონ ანტონის ძე დუმბაძე ა. წ. ნოემბრის 2 დან.

№ 394.

დაეგალოს: ტფილისის № 1 საპყრობილის უფროსის მოვალეობის დროებითი აღსრულება ტფილისის № 2 საპყრობილის უფროსს ეპიფანე ბესარიონის ძე მეგრელიშვილს ა. წ. ნოემბრის 2 დან.

№ 395.

დაეგალოს: ტფილისის № 2 საპყრობილის უფროსის მოვალეობის დროებითი აღსრულება ამავე საპყრობილის უფროსის თანაშემწეს მიხეილ პეტრეს ძე სერგეევს ა. წ. ნოემბრის 2-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

3 ნოემბერი, 1920 წ., № 44.

სახელმწიფო კონტროლის მემანქანეს ქეთევან ავქსენტი აბესაძეს ასულს, ნებადაურთველად ბათომში წასვლის გამო სრულიად ვითხოვ სამსახურიდან ა. წ. 3 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი

კ. ანდრონიკაშვილი.

არა ოფიციალური განყოფილება.

მთავრობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი.

თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა გააუქმოს საგენერალო გუბერნატორო ყველა მისი შტატებით.

— მთავრობამ მოისმინა რა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება დაადგინა: მიიღოს საოპერაციო თანხიდან 5 მილ. მან. რკინის გზის მოსამსახურეთათვის საჭირო შეშის დასამზადებლად იმ პირობით, რომ ეს თანხა დაუბრუნდეს მას უკანვე.

— ინჟენერ წულუკიძის მიერ შედგენილ იმ მოხსენების მოსმენის შემდეგ, რომელნიც ტყვიბულის ქვა-ნახშირის გაუმჯობესებულ დამუშავებას შეეხება მთავრობამ დაადგინა: დამტკიცდეს მოხსენება იმ შესწორების შეტანით, რომ ქვანახშირის ახალ მანქანებით დამუშავებამ არ უნდა მოახდინოს გავლენა გასაცემ პროცენტებზეო. ამასთანავე დადგენილია ეძლიოს ინჟ. წულუკიძეს პრემია 10 წლის განმავლობაში.

— მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ სახალხო გვარდიის ყრილობის პრეზიდიუმისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა მოგესალმებათ თქვენ და რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც წმინდათ ასრულებს რევოლიციონურ დემოკრატიის მიერ დაკისრებულ მოვალეობას. გვარდია პირობას იძლევა, რომ იგი თქვენთან ერთად იბრძოლებს სოციალიზმის იდეისათვის.

შრომის სამინისტროში

ახალი წესები საკასაციო საჩივრებზე

შრომის სამინისტრო იუწყება, რომ მან დაადგინა შემოიღოს ახალი წესი საკასაციო საჩივრების შეტანისა კამერის გადაწყვეტილებათ შესახებ. წინეთ მხარეებს საჩივარი უნდა შეეტანათ პირდაპირ შრომის სამინისტროში და აქედან იგი იგზავნებოდა კამერაში. ეხლა საჩივარი უნდა შევიდეს მომრიგებელ კამერაში. აქედან კი სათანადო საქმეებით იგი გადაეცემა შრომის სამინისტროს.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

საერთაშორისო ლიგა.

ტუბერკულიოზთან მებრძოლ საფრანგეთის საზოგადოებამ ჟენევთან მებრძოლი საერთაშორისო ლიგის დაარსება დაადგინა. ლიგის სტატუტის გამოსამუშავებლად ამერიკის და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდება ყრილობა. ყრილობა პარიზში მოხდება.

თურქია შეთქმულება.

ანდრიონოპოლში ახალგაზრდა თურქთა შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულთა შორის არის ადრიანოპოლის ქალაქის თავი. ელინთა ჯარმა დიდძალი ხალხი დააპატიმრა.

პორტუგალიის სამხედრო ცნობა.

„ტანს“ მოყავს პორტუგალიის სამხედრო მინისტრის ცნობა სამხედრო ძალების მიერ რკინის გზის დაკავების შესახებ. საქონლისა და სამგზავრო მატარებლებს იცავს სამხედრო ძალა. ეს ზომა გაფიცვებით არის გამოწვეული. პორტუგალიის ზოგიერთ ადგილებში მუშებმა განაახლეს მუშაობა. მუშების დასამშვიდებლად ამნისტია გამოქვეყნდა.

გაფიცვა ბარცელონში.

ბარცელონში გაფიცვა საერთო ხასიათს ღებულობს. შესაძლებელია ტრამვაის მოძრაობის შეჩერება. ვაჭრობა დაცემულია. ქალაქში ტალახია. მთავრობამ კატეგორიული უარი სთქვა ბარცელონში საალყო წესების გამოცხადებაზე. ბარცელონში გაფიცულებს ასოთამწყობებიც შეუერთდა. გაზეთები არ გამოდის.

წესიერების აღდგენა ირლანდიაში.

ლოიდ ჯორჯმა კარნარფონში განაცხადა: ირლანდიაში რათაც არ უნდა დაჯდეს წესიერება უნდა აღდგენილ იქნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მხარე ანარქიის ქარცეცხლში გაეხვევა. ინგლისის მთავრობა ამას მიაღწევს რათაც ეს არ უნდა დაუჯდეს. ამასთანავე მთავრობამ ირლანდიის ავტონომიის გამოცხადება დაადგინა. საერთოთ ირლანდია დიდ ბრიტანეთს აიძულებს მიეპყროს მას განსაკუთრებული სიფრთხილითო.

ხელში ჩაგვივარდა 1918 წლის საბუთები ირლანდიელთა აჯანყების შესახებ. ირლანდია ბრიტანეთის წინააღმდეგ თავდამსხმელად დიდ შეთქმულებისათვის ემზადებოდა. მთავრობის სახელით ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: უკიდურესი ზომებით შევებრძოლებით ირლანდიის ფლოტისა და არმიის შექმნის საქმეს.

ლორდ კერზონის ახალი ნოტა.

„დეილი მიროორი“ იუწყება: ლორდ კერზონმა მიმართა საბჭოთა მთავრობას ახალი ნოტით, რომელშიაც იგი მოითხოვს რუსეთისაგან საკმაო გარანტიებს იმისას, რომ ბოლშევიკების ხელში მყოფი ბრიტანეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლე დაცული იქნეს. ამასთანავე ლორდ კერზონი მოითხოვს ბოლშევიკებისაგან აღმოსავლეთში პროპაგანდის შეწყვეტას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რუსეთთან ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტით იმუქრება.

(გაზეთებიდან).

რენოდელი, ინგელსი და მარკე საქართველოს შესახებ.

კონსტანტინოპოლის გაზეთ „ბოსფორს“ დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან, რომ რენოდელმა, ინგელსმ და მარკემ თავიანთი შთაბეჭდილებანი საქართველოს შესახებ ფრანგულ პრესას გაუზიარეს და შთაბეჭდილება ერთობ კარგია. მათი აზრით საქართველოს დიდი ეკონომიური განვითარება მოელის.

კამენევი ინგლისის შესახებ.

გაზეთ „კავკაზიშე პოსტ“-ს მოჰყავს კამენევის აზრი ინგლისზე. კამენევს „ფრანკფურტერ ცეიტუნგის“ თანამშრომლისთვის უთქვამს, რომ მისი ინგლისში ყოფნა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ინგლისისთვის გაეცნო საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა. რაც შეეხება ინგლისის პოლიტიკას რუსეთის მიმართ აქ შეიძლება მხოლოდ ითქვას ის, რომ ინგლისის შეხედულობა რუსეთზე სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ ბოლშევიკები რა მდგომარეობაში იქნებიან. გამარჯვებული იქნებიან ბოლშევიკები—მაშინ ინგლისი წინააღმდეგი არ იქნება რუსეთთან მორიგების—დამარცხებული ვიქნებით—ინგლისი ჩვენ წინააღმდეგ წავალ.

ტევფიკ-ფაშის ახალი კაბინეთი.

კონსტანტინოპოლის დამად-ფერიდის კაბინეთი შეიცვალა ტევფიკ-ფაშის კაბინეტით. ოსმალეთის ახალი კაბინეტის შემადგენლობა ასეთია: დიდებულ ვეზირათ არჩეულია ტევფიქ ფაშა; შეიხ ულ ისლამის—ნური ეფენდი; შინაგან საქმეთა მინისტრად—გენერ. ახმედ. ზზიტ ფაშა; გარეშე საქმეთა მინისტრად—სეფაბეი; სახალხო განათლების—მუსტაფა რეშიდ ფაშა; მიწად-მოქმედების და ვაჭრობის—გუსეინ კიაზიმ ბეი; საზღვაო მინისტრი გენერალი სალიხ ფაშა; სამხედრო მინისტრი—გენერალი ზია ფაშა; ფინანსთა—რაშიდ ბეი. იუსტიციის მინისტრი ჯერ არ დაუნიშნიათ. ამ რიგად შედგენილია ოსმალეთის ახალი კაბინეტი, რომელშიც მოჰყვენ ყოველი პარტიიდან. უმრავლესობა ამ შემადგენლობაში არიან ნაციონალისტები. არიან აგრეთვე ბევრი უპარტიონი. ასე რომ დღევანდელი ოსმალეთის კაბინეთი შეიძლება კოალიციონურად ჩაითვალოს. კაბინეტს უეჭველია ყველა პარტიის მომხრეებთან კარგი ურთიერთობა ექნება.

მდგომარეობა სომხეთში.

ზანგეზურის რაიონში.

გაზეთ „აზხატაორი“-ს გადმოცემით ორდუბადის და ზანგეზურის თათრებმა იერიშები მიიტანეს გენვაზზე. გენვაზში სომხებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ოსმალეთის ბოლშევიკები ყარჩევანს თავს დაესხენ. ოსმალელ ჯარების მეთაურად სდგას ბაქოდან დაბრუნებული ხალილ-ფაშა. ბრძოლა სწარმოებდა სამ დღეს. ადგილობრივმა სომხობამ იქდეს მეთაურობით უკუ აგდო ოსმალელები, წაართვა ბევრი ტყვიის მფრქვეველები, ძროხა და ბევრი ტყვედ წაიყვანეს. იმავე გაზეთის ცნობით გერიუსის საპყრობილეში ბოლშევიკებმა 230 სომეხი დახვრიტეს.

ქემალისტების თავდასხმა.

ვიდრე ქემალისტები თავს დაესხმოდენ სომხეთს ამ ფანატიკოსებს წინასწარი მომზადება ჰქონიათ. მუსტაფა ქემალის ინიციატივით განიზრახეს გენერალური შეტევა სომხეთზე. ამის შესახებ ქაზიმ კარაბეკირს ეცნობა რომელიც შეუდგა საომარ სამზადისს და ამ რიგად ოსმალელებმა ისევ დაიწყეს თავიანთი აგრესიული პოლიტიკის წარმოება.

მოწაფეების მობილიზაცია.

„არაჩეს“ გადმოცემით „დაშნაკციუტიუნების“ უკანასკნელ კრებაზე გადაწყვეტილი იყო სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, რომ მოწაფეები 15 წლის ქვეით უნდა ჩაირიცხონ სკაუტსკის რაზმში; მხოლოდ მოწაფეები 15 წლის ზევით ჩაირიცხებიან სტუდენტთა გვარდიაში. ყველა ესენი იქნებიან მთავრობის განკარგულებაში.

თავდაცვითი რაზმები.

„არაჩი“ იტყობინება სამხედრო კომენდანტის განკარგულებით ქალაქ ერევანში ყველა მამაკაცნი 50 წლამდის, მდგომარეობის განურჩევლად უნდა ჩაეწერონ სხვა და სხვა თავდაცვითი რაზმებში და შეისწავლონ სამხედრო ვარჯიშობა. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, ინინიპასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. ამ განკარგულებიდან თავისუფლდებიან მხოლოდ მახინჯები, სულიერად ავადმყოფნი. ერთი სიტყვით ვინც ყოვლად უვადგისად იქნება სამხედრო სამსახურისთვის. დანარჩენთათვის კომენდანტის განკარგულება სავალდებულოა.

ყარსის აღება.

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობით 4 დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ 31 ოქტომბერს ოსმალეთის ჯარებმა, რომელთაც დიდი დამხმარე ძალები მოუვიდათ ყარსი აიღეს. რესპუბლიკის ჯარები გუმბრის მიმართულებით იწევენ და განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებენ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ფრანგული პრესა

სტატისტიკური ცნობები.

(დასაწყისი არ მიგვიღია) ბერლინისათვის არაფერი გვიცნობებია და არც მოთხოვნილი ციფრი შეგვიმცირებია. თუმცა გერმანია ამტკიცებს, რომ საფრანგეთი 845.000 სულ საქონელს თხოულობდა და ამ რიცხვიდან 517 ათას ძროხას, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ზარალის ასანაზღაურებელ კომისიას წარუდგინა მოთხოვნა 510,000 სული საქონლისა, საიდანაც 400,000 ძროხაა. ეხლა გერმანიის მთავრობამ ნიხრი შესცვალა. საფრანგეთის პროტესტის გამო ის თითქოს იძულებით დათმობის გზას ადგია. გერმანიას არა აქვს უფლება განაცხადოს, რომ მისგან მოითხოვოს გადამეტებული რიცხვი ძროხებისა. მეტად საყურადღებოა ცნობები ნახშირის შესახებ. 1920 წლის პირველ შვიდ თვეში საფრანგეთმა დახარჯა 32 მილ. ტონის ნახშირი, რაც ყოველ თვიურად 4,610,000 ტ. უდრის. 1913 წელს კი ყოველ თვიურად იხარჯება 6,163,000 ტონი ნახშირი. ამგვარად 1920 წ. პირველ 7 თვეში საფრანგეთი იყო დაკმაყოფილებული ნახშირით მხოლოდ.

ლიონის ცნობები

საფრანგეთის წარმომადგენელნი ერთა ლიგაში.

მინისტრთა საბჭომ აირჩია ლეონ ბურჟუა, ვივიანი და განოტი ერთა ლიგაში საფრანგეთის წარმომადგენლებად.

ტერიტორიალური საქმეები.

კამერნში მყოფი საფრანგეთის კომისარი იუწყება: ტერიტორიის გაცემისა და მართველობის მოწყობის საქმეები ოქტომბრის 30 დასრულდაო.

რეფერენდუმი.

ნოემბრის 2 მოხდა რეფერენდუმი ბრიტანეთის მემადაროვებში მთავრობასა მაღაროების შეპატრონეთა და მუშათა დელეგაციას შორის მომხდარ შეთანხმების გამო.

ახალი ამბები

ახალი წიგნი. დაიბეჭდა და გასაყიდად გამოვიდა ქუთაისის ტანსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ ვარჯიშოათვის დ. ჯავრიშვილის „საშევარდნო მწყობრის სახელმძღვანელო“ გამოცემა მ. მეძმარიაშვილის. ფასი 160 მან. იყიდება ტფილისის და ქუთაისის „შევარდენის“ საზოგადოებებში.

ნოე რამიშვილიე და ბ. ჩხიკვიშვილის გამგზავრება ბათომში. შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნ. მ. რამიშვილი და ბათომის სგანგებო კომისარი ბ. გ. ჩხიკვიშვილი მიემგზავრებიან ქალაქ ბათომს საგანგებო მინდობილობით. ბ-ნი ბ. გ. ჩხიკვიშვილი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

უხვი შეწირულება. ქართველ ვაჭართა საზოგადოებამ ბ-ნ მ. ლალიძისა და პ. გოთუას თაოსნობით შესწირა სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციას ათი ათასი თუმანი (100000) მან. რათა ამ ფულით შეძენილ იქმნეს 1000 ცალი წიგნი პოლკ. ტიტე ართმელაძისა „შუამავალი ალათი“ და ჯარის ნაწილებს დაურიგდეთ.

დამფუძნებელ კრებაში. დღეს ნოემბრის 5 საღამოს 7 საათზე შესდგება არაჩვეულებრივი სხდომა დამფუძნებელ კრებისა.

დამფუძნ. კრების თავმჯდომ. ამხანაგმა ა. ლომთათიძემ დეპეშები დაუგზავნა სამაზრო ერობების თავმჯდომარეებს, რომ მათ სასწრაფოდ გადასცენ დამფუძნებელი კრების წევრთ რათა ისინი ნოემბრის 5-ის საგანგებო სხდომაზე ჩამოვიდენ.

კანონ-პროექტი

საერობო თვითმმართველობათა შესახებ.

ერობათა კავშირის კომიტეტმა დაამუშავა კანონ-პროექტი საქართველოში არსებულ საერობო თვითმართველობათა შესახებ. კანონ-პროექტი 48 მუხლისაგან შესდგება. თანახმად კანონ-პროექტის მეორე მუხლისა, ადგილობრივ თვითმმართველობას ორი საფეხური აქვს: პირველი საფეხური არის წვრილი საერობო ერთეული (თემი). მეორე-სამაზრო ერობა, ტერიტორიალურ საზღვრები, რომელშიაც ანხორციელებენ საერობო დაწესებულებანი თავის უფლებას და მოვალეობას, მყარდება და იცვლება რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ცალკე თემი იქნება საზღვრებში, რომელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული მეურნეობის მხრით. სივრცით თემის საზღვრები ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ რაიონის სიდიდემ არ უნდა შეუშალოს ხელი თემის მოქალაქეს იქონიოს მუდმივი კავშირი მის (თემის) მმართველობის ორგანოებთან, ამასთანავე უნდა დაცულ იქმნეს შეძლებისამებრ ყოფილ სოფლის საზოგადოების საზღვრები. სამაზრო ერობა ეწყობა ისეთ საზღვრებში, რომელიც ერთგვარად ეკონომიურ მთლიანობით ხასიათდება. მე-18 მუხლის შენიშვნით ტფილისში არსდება ცალკე დამოუკიდებელი სამაზრო ერთეული სამაზრო ერობის უფლებებით. ჯერ-ჯერობით ადმინისტრატიულ გადამიჯვნამდე საქართველო 21 მაზრათ იყოფა. უფლების და ვალდებულების მტარებლად ადგილობრივ თვითმმართველობის მიმართ ითვლება სამაზრო ერთეულის ყველა მცხოვრები. სამაზრო დაწესებულებანი თავის ტერიტორიის საზღვრებში განაგებენ საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმეებს და ანხორციელებენ ადგილობრივ მმართველობას. გარდა ამისა საერობო დაწესებულებებს ევალებათ ფოსტა-ტელეგრაფის შენობების აგება, ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ, ადგილობრივ მიმოსვლის მოწყობა, სასურსათო საქმის მოწყობა და სურსათ სანოვაგის მიწოდება მცხოვრებთათვის, ფართო მაშტაბში შრომის დაცვა, თვალყურის დევნება ვაჭრობა და მრეწველობაზე, ქონებრივ სიმდიდრის დაცვა, ხელოვნების ძეგლების დაცვა და სხვა. თანახმად 21 მუხლისა თემს ყავს საბჭო და თემის თანაშემწეები, ამასთანავე თანაშემწე ირჩევა იმდენი, რამდენი სოფელიც შედის თემში. საბჭო ირჩევა საერთო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით და პროპორციონალურ წადმომადგენლობით. თემის თავი უშუამავლოდ განაგებს მილიციას თემის რაიონში, ახდენს მცხოვრებთა რეგისტრაციას და სხვა. სამაზრო ერობას ყავს საერობო ყრილობა და გამგეობა, საერობო ყრილობას თავმჯდომარეობს პირი, რომელიც ერობის ხმოსნების წრისაგან იქნება არჩეული. თავმჯდომარეს ირჩევენ ერთი წლით. საერობო ყრილობას აქვს უფლება გამოსცეს

კანტორისაგან

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კანტორა

უკანასკნელად აცხადებს ნისია ხელის მოწერა დაუსეგულებათა საყურადღებოთ, რომ 20 ნოემბრიდან მათ გაზეთი მოესპოგათ თუ აღნიშნულ დროვდე ფული არ შემოიტანეს.

სავალდებულო დადგენილება. ადგილობრივი თვითმართველობა მთლიანია. ადგილობრივ თვითმართველობათა ყველა მოქმედებას თვალყურს ადევნებს საერთო სახელმწიფოებრივი მმართველობა.

სასურსათო ცხოვრება

სასურსათო განყოფილებამ მიაქცია რა ყურადღება პურის ძვირ გაძკირებას, გადასწყვიტა მოაწყოს მცხოვრებთათვის იაფ ფასიანი პურის მიწოდება. იაფ ფასიან პურის გაყიდვა პირველ რიგში მოეწყობა ქალაქის განაპირა უბნებში და მოედნების „კვარტალებში“.

— სასურსათო განყოფილებამ შეუდგა თავის მიერ შესყიდულ ხორცის მცხოვრებლებზე დადგენილ ნიხრით გაყიდვას. ქალაქის „ხორცი“ ამხანაგობის „ხორცის“ დუქნებში იყიდება.

— სასურსათო განყოფილება გაგზავნა სოფლებში სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებზე გადასაცვლელად სოფლისათვის საჭირო საგნების დიდი პარტია.

— ნოემბრის 1 შესდგა თათბირი კოოპერატიულ სასადილოების და რესტორანების გახსნის შესახებ. თათბირი მოწვეული იყო ტფილისის კოოპერატივების ინიციატივით. თათბირმა მოიწონა კოოპერატიულ სასადილოების გახსნის აზრი საკითხის დასამუშავებლად არჩეულ იქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: მეგრელიძე, კაფიეკი, ელიავა, ქართველოვი და დევდარიანი. კომისიამ მუშაობა ახლო დროში უნდა დაასრულოს.

— შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდებს და შრომის კომისრებს წინადადება მისცა სასწრაფოდ შეიტანონ მომარაგების ფონდში ყოველ მუშაზე და მოსამსახურეებზე სამი ათასი მან. ამასთანავე მიღებულია ზომები იმ წინანდელ ფულის მისაღებად, რომელიც მწარმოებლებს კიდევ არ აქვთ შეტანილი.

— მუშათა მაგიდამ მიიღო 4 ვაგონი კარტოფილი, რომელიც მოკლე ხანში მუშებსა და მოსამსახურეთა შორის განაწილდება.

— მუშათა მაგიდა შეუდგა ხახვის 5 გირვანქობით დარიგებას. ეს ხახვი მუშათა მაგიდის ჯგუფებსა და საწყობებს მიეცემათ.

—მუშათა მაგიდა ნოემბრის 1 პროვინციაში 25.713 მოსამსახურეს სასურსათო რაციონს აწვდიდა.

— ქალაქის მცხოვრებლებს შორის ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელებულია ხმები შესახებ იმისა, რომ სასურსათო განყოფილებამ დაბეჭდა შეშის საწყობებიო და რომ მისი ან მისი აგენტების ნებადაურთველად საწყობიდან შეშის ყიდვა შეუძლებელიაო. განყოფილება იუწყება,რომ ასეთი ხმები სიმართლეს არ შეესაბამება. ზოგიერთი საწყობის პატრონები შეშას არ იძლევიან აღნიშნულ ამბების გამო.

სასურსათო განყოფილება სთხოვს მცხოვრებთ ასეთ შემთხვევაში მიმართონ მილიციას და ან ვაჭრობის მეთვალყურის აგენტებს დახმარებისათვის.

პროვინციის ცხოვრება

გურიის ამბები.

ამ დღეებში მოხდა ქ. ოზურგეთში არსებულ მომხმარებელ საზოგადოებათა კრება. და ესწრო წევრები ექვსი კოოპერატივებისა, მათ შორის მეეტლეთა დამასწავლებელთა კავშირისა. კრებაზე მოხსენება გაკეთა დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობისა და კოოპერატივების მოვალეობათა შესახებ ცეკავშირის ინსტრუქტორმა ერქომაიშვილმა. გამოტანილი იქნა დადგენილება საპაიო გადასახადის 1,000-მან-მდე გადიდების შესახებ. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ თვითეულმა კოოპერატივმა შეიძინოს კოოპერატიული ბანკის აქციები, რაც შეიძლება მეტი, მაგრამ არა ნაკლები 15-სა.

განზრახული იყო კრებაზე დასმულიყო საკითხი ქ. ოზურგეთში არსებულ კოოპერატივების შეერთების შესახებ, მაგრამ რაღაც მოსაზრებით ეს საკითხი აღარ დაისვა. საჭიროკი იყო რომ ეს საკითხი განხილულიყო და პრინციპიალურათ მაინც გადაწყვეტილიყო დადებითად, რადგან დღევანდელ არა ნორმალურ ეკონომიურ პირობებში ერთ ქალაქში და ისიც ისეთ პატარაში, როგორიც ქ. ოზურგეთია, 7-მომხმარებელი კოოპერატივის არსებობა, სრულიად მიზანშეუწონელ, მომხმარებლებისათვის საზარალო და თვით ამ კოოპერატივებისთვისაც დამღუპველია. ამიტომ აუცილებლათ უნდა საჩქაროთ დაისვას შეერთების საკითხი თვითეულ ამ კოოპერატივის წევრთა საზოგადო კრებაზე და დადებითადაც გადაიჭრას.

შაბათს, 16 ოქტომბერს შესდგა ქ. ოზურგეთის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ბ-ნი გ. ბერეჟიანის თავმჯდომარეობით, რომელზედაც გამოცხადდა საკმაო რიცხვი მუშა-მოსამსახურეთა სხვა და სხვა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათაგან. განსახილველი საგანი იყო საკითხი ოზურგეთში მუშათა კოოპერატივის დაარსების შესახებ. ამ საგანზე მოხსენება გააკეთა ცეკავშირის ინსტრუქტორმა ერქომაიშვილმა; გამოირკვა, რომ გურიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადაწყვიტა ოზურგეთში მუშათა კოოპერატივის ცალკე დაარსება. კრებაზე თავი იჩინა ორმა მიმდინარეობამ: ერთნი ამტკიცებდენ, რომ მუშათა კოოპერატივის ცალკე შექმნა ოზურგეთში ნაადრევია, ის ვერ იხეირებს, ამას არც ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვს და ამიტომ შეეცადოთ სხვა მშრომელ ელემენტებთან თანამშრომლობით გავაძლიეროთ არსებული ქალაქის კოოპერატივი „ეკონომია“ და თანდა,თანობით გამოვიყენოთ ის თავის მიზნებისათვისო. მეორენი კატეგორიულათ მოითხოვდნენ დაქირავებულ მუშების გამოცალკევებას ცალკე კოოპერატივში, საბჭოს წევრებს შორისაც არ აღმოჩნდა თანხმობა ამ საკითხის შესახებ, ისინი სხვა და აზრს იცავდენ. დიდი ხნის მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიაც მონაშილეობა მიიღეს ბ. ს. ჭანტურიშვილმა, იმედაშვილმა საბაშვილმა, ჭეიშვილმა, ბერეჟიანმა, კოპლატაძემ, მურვანიძემ დ სხვებმა, ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა წინადადება, რომელიც მუშათა კოოპერატივის დაარსებას თუმცა პრინციპიალურად საჭიროთ აღიარებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მის ცალკე დაარსებას მიზანშეუწონელათ სთვლის და ამიტომ საჭიროთ სცნობს ამ მიზნისათვის გამოყენებული იქნას არსებული ქალაქის კოოპერატივი „ეკონომია“, რისთვისაც კრება სავალდებულოთ უხდის ყველა მუშა-მოსამსახურეს ჩაეწერონ წევრათ ამ კოოპერატივში, რომ მოიპოვონ იქ გავლენას და თანდა თან გამოიყენონ ის თავიანთი მიზნებისათვის.

— ამ დღეებში შესდგა ოზურგეთის დრამატიული საზოგადოების წლიური საზოგადო კრება ბ-ნი ს. ჭანტურიშვილის თავმჯდომარეობით. გამოირკვა, რომ საზოგადოების გამგეობას ბევრი არაფერი გაუკეთებია. გადაწყდა საწევრო გადასახადის 100 მ-მდე გადიდება. მოხდა არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა; გამგეობაში არჩეულნი იქნენ: ჭანტურიშვილი, ს. დოლიძე, რ. ჩხაიძე, პელო საბაშვილისა, ვ. ჩიტაიშვილი და დ. ნიკოლაიშვილი.

სარევიზიო კომისიაში: გ. ბერეჟიანი, გ. მურვანიძე და ივ. უჯმაჯურიძე.

კრებამ სასურველათ იცნო რეჟისორისა და ერთი მსახიობ-ქალის მოწვევა: აგრეთვე აუცილებელ საჭიროთ იქნა ცნობილი თეატრის შეკეთება და გათბობა, რაზედაც ზრუნვა დაევალა გამგეობას. გამგეობამ რეჟისორათ უკვე მოიწვია მსახიობი ქავიძე, რომელიც შეუდგა მუშაობას.

— კვირას, 17 ოქტომბერს ნასაჭირალზე ყაჩაღები თავს დაესხნენ ჩოხატაურიდან მომავალ საერობო ეტლს და გასძარცვეს მგზავრები. დ. ჭანტურიშვილი, ი. მექვაბიშვილი და სხვები. წაიღეს რამოდენიმე ათასი მან., და ნივთები, ბევრს ტანზედაც გახადეს. წაიღეს 90 ათას მანეთამდე საერობო ფული. ამ ბოლო დროს ძარცვა-გლეჯა ხშირი მოვლენა შეიქმნა გურიაში; ერობა ღებულობს სათანადო ზომებს მის აღმოსაფხვრელათ.

— ამ დღეებში სამაზრო მილიციამ დაატყვევა კიდევ სამი ქართველი მაჰმადიანი, ამას წინაზედ ავტომობილზე თავდამსხვეელი, რომლებიც უკვე გამოტყდენ თავის დანაშაულში.

ხეხეი.

ხელოვნება

ქართული ოპერა.

სამშაბათს 2 ნოემბერს სახელმწიფო პირველ თეატრში წარმოადგინეს პირველად ამ სეზონში ვიქტორ დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. ვ. დოლიძის ოპერამ დიდი ფურორი მოახდინა. ოპერა საყურადღებოა თავის ორგინალობით და საღი კომიზმით. ა. ცაგარლის სიუჟეტი კარგად არის გამოყენებული. ოპერას მართალია დიდი გავლენა ეტყობა როსსინის „სევილიელ დალაქის“, მაგრამ ვ. დოლიძის ნაწარმოებში მაინც ნახავთ თავისებურობას და თუ გინდათ ვიტყვით კიდეც ტიპიურობას. განა ტიპიური ასახვა არ არის საქო და სიკოსი? ეს ქართულ ბოლემას შვილები? კარგად აქვს გადმოცემული კომპოზიტორს მაკარ ტყეილ კოტრიაშვილის სახეც. ეროვნული მოტივებიც, ყველგან არა, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც დაცულია, მაგალითად გუნდის სიმღერა „დავცალოთ ჭიქები“ და სხვა.

ოპერა კარგა შეასრულეს. კოტეს პარტიას ბ-ნი სარაჯიშვილი მღეროდა. ეს პარტია მისი შესაფერისი არ არის, მაგრამ მაინც შეტად მოხდენილად შეასრულა კოტეს როლი. კარგი იყო ქ-ნი კალანდაძე (ქეთო) და საუცხოვო განმსახიერებელნი არიან: ბ-ნნი ისეიკი (მაკარის), ქურხული (საქოსი) და კურბატოვი (სიკოსი).

ხკამი № 55

ფოსტა-ტელეგრაფში

სიო ჩაუბარებელი დეპეშებისა 31 ოქტომბერს,

ბათომიდან—კორსუნსკეს; სოხუმიდან—არაბელიძეს; პოლენკოვიდან—ბუნუტს; ოზურგეთიდან ნ. მგელაძეს; ოზურგეთიდან გრ. დოლიძეს; სოხუმიდან—მიქაძეს; ჭრებალოდან-ჭინჭარაძეს; ქუთაისიდან—პლ. დვალს; ხონიდან—წივწივაძეს; სოღუტბულიდან—ღოლონაძეს; სოხუმიდან ჩაჩიას; ოჩამჩირიდან—გერსამიას; მაკეთიდან—ოღანეზოვს; ბათუმიდან—რიზაევს; ქუთაისიდან—რეხვიშვილს; ქუთაისიდან—ვ. ბაინდუროვს; ბათომიდან—რისსოო ნიდან—მინდელს.

ნამდვილზე აწერია: „ვამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მოეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“

ხ. ავალიანი.

წესდება

დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა.

I. დაარსება და კაპიტალი ბანკისა

§ 12. აქციონერის სიკვდილის შემდეგ მისი უფლებები გადადის მის მემკვიდრეებზე კანონისა ან ანდერძისამებრ, ხოლო არავითარ შემთხვევაში თითეული აქცია არ ექვემდებარება განაწილებას.

II. ბანკის ოპერაციები.

§ 13. დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკს ნება აქვს აწარმოოს შემდეგი ოპერაციები:

ა) განაღდება როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ვექსილებისა და ყველა სხვა ვაჭრულ გარიგებაზე დაფუძნებულ ვალდებულების ქალალდისა ვადით არა უგვიანეს ცხრა თვისა და აგრეთვე ვადანაღდება (ვადაგირავება) ბანკის მიერ განაღდებულ ვექსილებისა და ვალდებულების ქალალდებისა, რომლებზედაც ბანკს ბლანკი უნდა იყოს წარწერილი.

ბ) წარმოება სესხისა და კრედიტის გახსნა

ვადით არა უგვიანეს ცხრა თვისა და აგრეთვე სპეციალ მიმდინარე ანგარიშისა კონტაკორენტის სახით.

1. გირავნობის ქვეშ სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებისა, პაგებისა, აქციებისა, ობლიგაციებისა და გირავნობის ფურცლებისა, ისე რომ სესხი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ პროცენტს (90%) მათი საბირჟო ფასისას.

2. გირავნობის ქვეშ კონოსამენტებისა, საქონლის საწყობის მოწმობებისა (ვარანტებისა), საქონლის გადასაზიდავ ბარათებისა და სატრანსპორტო კანტორათა, რკინის გზათა, ელევატორთა და სანავსნო საზოგადოებათა კვიტანციებისა ამ საქონელზე, რომელიც ადვილად არ გაფუჭდება. ამ შემთხვევაში გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ორ მესამედს (²/₃) ამა საქონლის ღირებულებისას და ეს უკანასკნელიც უნდა იყოს დაზღვეული ათი პროცენტით მეტ ფასში, ვიდრე გაცემული სესხი და აგრეთვე დაზღვევის ვადაც ერთი თვით მაინც მეტი უნდა იყოს სესხის ვადაზე და დაზღვევის პოლისებიც ბანკში უნდა ინახებოდეს.

3. გირავნობის ქვეშ არა ადვილად გასაფუჭებელ საქონელთა, ხოლო გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ამა საქონელთა ღირებულების ორ მესამედს (²/₃) და თან ეს საქონელი უნდა დაწყობილი იყოს ცეცხლისგან უშიშარ და კეთილსაიმედო, გამგეობის აზრით, შენობაში და აგრეთვე დაზღვეული უნდა იყოს არა ნაკლებ ათი პროცენტით მეტ ფასში ვიდრე გაცემული სესხი, ვადაც დაზღვევისა ერთი თვით მაინც მეტი უნდა იყოს, ვიდრე ვადა სესხისა, პოლისიც ბანკში უნდა ინახებოდეს და ქირა შენობისა, საცა საქონელია შენახული, ერთი თვისა მეტი უნდა იყოს გადახდილი, ვიდრე სესხის ვადა.

4. გირავნობის ქვეშ ძვირფას ლითონთა და ოქროს მისაღებ ასიგნოვკათა, რომელზედაც გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ პროცენტს (90%) დასაგირავებელ ლითონის დაკანონებულ (და არა საბირჟო) ღირებულებისას.

შენიშვნა: 1. სესხის გაცემისა და კრედიტის გახსნის დროს გირაოს ქვეშ, რომელიც ამა პარაგრაფის, ბ) მუხლის, 2 და 3 დანაწილებაში აღნიშნულია, ვადით არა ნაკლებ ორი თვისა, რაოდენობა ამა სესხისა და კრედიტისა შეიძლება გადიდებულ იქნას გამგეობის და საბჭოს ერთხმად გადაწყვეტილებით გირაოს ღირებულების 80%. ნუსხას საქონლისა და საქონლის საბუთებისა, რომელთა ქვეშ შეიძლება გაიცეს სესხი და გაიხსნას კრედიტი აღნიშნულ გადიდებულ რაოდენობით, ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი.

შენიშვნა: 2. ბანკს ნება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საბჭოს ნებართვით, დაიგირაოს საქონელი და დასტოვოს იგი შესანახად დამგირავებლის ხელშივე, ხოლო ვალდებულება კი უნდა ჩამოერთვას, რომელშიაც ნამდვილად უნდა იყოს აღნუსხული საქონლის რაოდენობა და ბინა, სადაც ის ინახება, თან დამგირავებელმა უნდა იტვირთოს კანონით დაწესებული პასუხისმგებლობა შესანახად აღებული საქონლის უკლებლობისათვის. პირველშივე დამგირავებლისაგან განსაზღვრული და ბანკის მიერ შემოწმებული საქონლის შედგენილება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ბანკის წერილობითი ნებართვით.

გ) მიღება ფულის ბანკისადმი გაცემულ ვექსილებით, ვადიან საბუთებით და პროცენტიან ქაღალდებით.

დ) გადახდა ფულისა საქართველოსა და საზღვარგარეთ იმ ქალაქებში, სადაც ბანკის განყოფილებანი, კომისიონერები და კორესპონდენტები არიან მესაზე პირთა ან დაწესებულებათა ანგარიშით იმ პირობით კი, რომ ეს გადასახდელი ფული წინდაწინვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავსებით ან ნაღდი ფულით, რომელიც უნდა ირიცხებოდეს ბანკში იმის მიმდინარე ანგარიშზე, ვისთვისაც იხდის ბანკი, ან ისეთი უდავო და სანდო გირაოთი, რომლის ქვეშ, თანახმად ამა პარაგრაფის ბ) მუხლისა, ბანკი სესხს იძლევა სესხისათვის დაწესებულ პირობათა დაცვით.

შენიშვნა: საგანგებოდ პატივსადებ შემთხვევაში, ამ მუხლში აღნიშნული გადასახდელი შეიძლება იყოს არა სრულიად უზრუნველყოფილი, მაგრამ უეჭველად გამგეობის ყველა დამსწრე წევრთა ერთხმივ გადაწყვეტილებით და 17 პარაგრაფში აღნიშნული წესის დაცვით.

ე) გადაგზავნა ფულის ყველგან, სადაც კი ბანკის განყოფილებანი, კომისიონერები და კორესპონდენტები არიან.

(შემდეგი იქნება).

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა მატრიკული № 1042 მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მირიან გრიგოლის ძე ბურჭულაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3482 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1206 მიცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან ილია სარინოს ძე ჯავახის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3472 3—3

დაიკარგა ექვსი კლასის ატესტატი და შვიდი კლასის მოწმობა მიხეილ ვლადიმერის ძე ტატიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. რეალურ სასწავლებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3500 3—2

დაიკარგა ატესტატი ტფ. 1 რეალურ სასწავლებლის დამთავრების სერგო მიკირტიჩის ძე კურეგოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3498 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის მოწმობა № 30 პავლე გიორგის ძე კანდელაკის სახელზე, მიღებული მე-9 კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3503 3—2

ვასილი ტიტის ძე ფეფელოვი აუქმებს მინდობილობას მიცემულს მის მიერ ზინაიდა გიორგის ასული შვლიარსკის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ნოტარიუსი სტრახოვის მიერ რეესტრით № 5278. 3496 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 21 ვ. ა. პრიხოტოკოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3486 3—2

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან დავით სტეფანეს ძე ჭანტურიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3488 3—2

ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ იაკოფა ნონიევის ძის გუკასოვას მემკვიდრეებს წარმოსადგენათ თავიანთი უფლებებისა ვადაზე თანახმად 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. 10 ტ. (კრებ სამოქ. საქ. გამოცემული 1887 წლ. განცხადება ესე ძალაში შედის 1920 წ. 23 აპრილიდან. 762 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 331 მიხეილ სიმონის ძე ანტოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3492 3—2

დაიკარგა პასპორტი ჯამალუდინ ასან გუსეინ ოღლის სახელზე, მიღებული გუმუქის (ელესტანი) უბნის ბოქაულისაგან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3493 3—2

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში მარიამ ალექსანდრეს ასულმა კარპუხოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ალექსანდრე კოსმას ძე კარპუხოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1907 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წ. ყველა, ვინც იცის ალექსანდრე კოსმის ძე კარპუხოვის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3495 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3428 ზელიკ ზალმანის ძე სორინის სახელზე, მიღებული რუსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3494 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესასვლელი ბარათი № 825 და პირადობის მოწმობა № 744 სტ. იასონ კვარაცხელია სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3502 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მარტვილის თემიდან და მეტრიკა ერასტი მაქსიმეს ძე ხაჟომიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3505 3—2

დაიკარგა მოწმობა აკოფ ანდრანიანის სახელზე, მიღებული ტფ. სომეხთა სემინარიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3442 3—3

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა 1896 წ. 4 მარტიდან № 379 და ნასყიობობის სიგელი 1808 წ. 28 ივლისიდან № 12069 ალექსანდრე ოსიპის ძე მაჩკალოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3440 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ელენე დანილოვის ასულმა სუბრისოვისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი კონსტანტინე ვასილის ძე სუბრისოვი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1913 წ., უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამო აღნიშნული ელენე დანილოვის ასული სუბრისოვისა თხოულობს მისგან განქორწინებას

ყველა ვინც იცის დაკარგული კონსტანტინე ვასილის ძის სუბრისოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადონ სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 3436 3—3

დაიკარგა ოჯახის შემადგენლობის მოწმობა № 149 ბარსეგ ვართას ძე ვართანოვის სახელზე, მიღებული ტფ. 13 უბნ. კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3457 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ავსიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3435 3—3

დაიკარგა № 6548121 დუბლიკატი რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების სახელზე, გამოგზავნილი ოდესიდან კერცმანის მიერ 1917 წ. 74 ფუთი ლურსმის მიღების შესახებ გაუქმებულად ჩაითვალოს. 3437 3—3

დაიკარგა პასპორტი ვერა ყარამანის ასულის მგელაძის სახელზე, მიღებული ჩოხატაურის ერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3448 3—3

დაიკარგა პასპორტი № 263 იან იანის ძე ბუვმეისტერისაგან, მიღებული კურლიადიის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3467 3—3

დაიკარგა პასპორტი არმენაკ არშაკის ძე სტეფანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3461 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3093 ვარდო შალომეს ძე ელოშვილი ზებულაძეს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცეისტერის სამმართველოდან 1917 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3468 4—3

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2578 მოშე ისხაკის ძე ტეცოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3471 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიხეილ გიორგის ძე ლორის-მელიქოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3475 3—3

საქციონერთა საზოგადოების „კავკასიის სანოფლო სამეურნეო საძრეწველო“ საზოგადოების გამგეობა.

აუწყებს, ამ საზოგადოების აქციონერთ, რომ ამა წლის ოქტომბრის 31 დღის აქციონერთა პირველი საერთო კრების დადგენილების თანახმად, აქციების ღირებულების სრულად გასანაღდებლად დანიშნულია შემდეგი ვადა: ამა წლის 20 ნოემბრამდის უნდა იყოს შემოტანილი 250 მან. თითო აქციაზე და ამავე წლის 10 დეკემბრამდის დანარჩენი 125 მან. თითო აქციაზედ.

ფული უნდა შემოტანილი იყოს საზოგადოების სალაროში პუშკინის ქუჩა № 15.

3478 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1404 მიღებული უკრაინის საკონსულოდან ქ. ტფილისში და ხელშეკრულება ბორჩალოს მაზრაში მამულის შესახებ. შედგენილი ტფ. ნოტარიუს ქართველიშვილთან ალექსი ვონიკატის ძე ლევანდოვსკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3455 3—3

დაიკარგა ტრამვაის ბილეთი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და სამსახურის ნუსხა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მილიციონერ იოსებ ივანეს ძე კოკოევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3452 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან იაკოფ მიხეილის ძე წივილაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3431 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. დოლგინოკის მდაბიო მოქალაქეთა საამმართველოდან ალმან ისააკ ზალმანის ძე აკსელროდის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3434 3—3

დაიკარგა მატრიკული მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ნოე გიორგის ძე მეგრელიშვილის სახელ ზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3527 3—1

მოწმობა № 879 სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ნიკოლოზ ოტიას ძე ურუშაძის სახელზე, დაკარგულია, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3525 3—1

დაიკარგა პასპორტი გაბრიელ მიხეილის ძე იოსებაშვილის სახელზე, მიღებული საჩხერისუერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3533 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფ. სამმართველოდან და მეტრიკა ანუშავან სუმბათის ძე ზაკოიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3534 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 533 არტაშა იაგორის ძე გოგიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3535 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის უწყება № 47 არამ კარაპეტის ძე გევონდიანცის სახელზე, მიღებული 4 სამილიციო უბნიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3531 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა აკაკი სილევანის ძე დობარჯგვინაძის სახელზე, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3537 3—1

დაიკარგა პასპორტი № 261 ოვანეს ოსიპოვის სახელზე, მიღებული შუშის სამაზრო მთავრობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—1

დაიკარგა პასპორტი № 319 სონია აზურფიგაროს ასული ოგანეზოვის და ცატურ ოგანესის ძე ოგანესოვის სახელზე, მიღებული შუშის სამაზრო მილიციიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—1

დაიკარგა პასპორტი № 198 ფაილაკ მარტიროსის ძე აკოფიანცის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3870 მარიამ გრიგორის ასული ლიზუნოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3526 3—1

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების წიგნაკი № 4376 აკაკი ალექსის ძე ჭანტურიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3529 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3278 ლიუმოვ ნიკოლოზის ასული ჰოჰოვის სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3532 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1942 ეკატერინე მიხეილის ასული ბათხაძის სახელზე, მიღებული ტფ. თვითმმართველობიდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3543 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი